USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

პარტნიორობა საქართველოს განვითარებისთვის

თანამშრომლობა ურთიერთსასარგებლო შედეგების მისაღწევად

კერძო სექტორს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოს განვითარებაში, როგორც ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის წახალისებით, ასევე ძლიერი საზოგადოებისა და ანგარიშვალდებული დემოკრატიის ხელშეწყობით. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) მზადაა ითანამშრომლოს კერძო კომპანიებთან, რადგან მიგვაჩნია, რომ კერძო სექტორი იდეების, ინოვაციის, გამოცდილების, ადვოკატირებისა და ინვესტიციების დინამიკური წყაროა. გიწვევთ ურთიერთსასარგებლო პროექტებზე თანამშრომლობისთვის. ეს პროექტები შესაბამისობაში იქნება როგორც თქვენ ბიზნეს-ინტერესებთან, ისე საქართველოს მდგრადი განვითარების მიზნებთან. ერთად, ჩვენ უფრო მეტს შევძლებთ. კერძო სექტორთან თანამშრომლობით უკვე მნიშვნელოვან შედეგებს მივაღწიეთ. 2020 წელს, ერთობლივი პროექტების შედეგად, ადგილობრივმა ბიზნესებმა 20 მილიონი აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო, შეიქმნა 3400 ახალი სამუშაო ადგილი, საქართველოს განვითარების მიზნების ხელშესაწყობად კერძო ინვესტიციების ოდენობამ 6,4 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია.

თანამშრომლობის მექანიზმები

- ინფორმაციის გაზიარება და სტრატეგიული თანხვედრა
- გამოცდილების ანალიზი და მიდგომების ერთობლივი შემუშავება
- ცოდნის ამაღლება და ინოვაციების დანერგვა
- კერძო სექტორიდან რესურსებისა და ქმედითი ღონისძიებების მობილიზება
- კერძო ინვესტირებისთვის დაბრკოლებების აღმოფხვრა
- ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება

თანამშრომლობის **მაგალითები**

რესურსების მობილიზება თხილის სექტორის გასაძლიერებლად

- საქართველოში თხილის სექტორის გაძლიერებისა და ქართველი ფერმერების მსოფლიოს წამყვან საკონდიტრო კომპანია "ფერერო"-ს გლობალურ საწარმოო ჯაჭვში ჩართვის მიზნით, USAID-იმ "ფერერო"-სთან ერთად თანაინვესტიცია განახორციელა.
- ჩვენ დავეხმარეთ ფერმერებს წარმოების, გადამუშავებისა და სასაწყობე მეურნეობების გაუმჯობესებასა და ფაროსანასთან ბრძოლაში.
- თანამშრომლობის შედეგად, 2020 წელს საქართველოში თხილის მოსავლიანობა 37%-ით გაიზარდა, 40000 ფერმერს კი შემოსავლის უწყვეტი წყარო გაუჩნდა.

ინოვაციების დანერგვა მიწოდების ჯაჭვში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად

- სტუმართმასპინძლობის სფეროში წამყვან ქართულ კომპანია აჭარა ჯგუფთან და საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან პარტნიორობით, შევქმენით მობილური აპლიკაცია „აგრონავტი", რომლის საშუალებითაც სერტიფიცირებული ფერმერები სასტუმროებსა და რესტორნებს თავიანთ პროდუქციას აწვდიან.
- ამ მოქნილი მობილური აპლიკაციის წყალობით, ქართველმა ფერმერებმა მუდმივი კლიენტები, ხოლო სასტუმროებმა და რესტორნებმა - ადგილობრივი წარმოების პროდუქციის სტაბილური მიმწოდებლები შეიძინეს.
- დღემდე, აპლიკაციის მეშვეობით ფერმერებმა 4,4 მილიონი აშშ დოლარის პროდუქციის რეალიზება შეძლეს, რაც ურთიერთმომგებიანი შედეგის მისაღწევად კერძო სექტორთან პარტნიორობის მნიშვნელობას ადასტურებს.

კერძო რესურსების მობილიზება სოფლის გასაძლიერებლად

- საქართველოს სოფლებში ეკონომიკური შესაძლებლობების შესაქმნელად, USAID 2018 წლიდან თანამშრომლობს ბრითიშ პეტროლიუმთან.
- ტექნიკური დახმარებისა და გრანტების მეშვეობით, მცირე ბიზნესებს ხელი შევუწყვეთ შემოსავლების გაზრდასა და სამუშაო ადგილების შექმნაში.
- დღემდე, ჩვენ მიერ თანადაფინანსებულმა ინიციატივებმა სოფლად 130-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი შექმნა, ადგილობრივი ბიზნესების შემოსავლები კი 275 000 აშშ დოლარით გაზარდა.

ცოდნის ამაღლება საბაზრო სტანდარტების დასაკმაყოფილებლად და ადგილობრივი პროდუქციის მხარდასაჭერად

- USAID-ისა და მაკდონალდსის პარტნიორობის მიზანია ადგილობრივი წარმოების ხარისხიანი სალათის ფურცლის მიწოდების გაზრდა. ჩვენ ერთად დავეხმარეთ ქართველ ფერმერებს ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატის GlobalGAP-ის მოპოვებაში, რამაც ფერმერებს მაკდონალდსის საწარმოო ჯაჭვში ჩართვის შესაძლებლობა მისცა.
- მაკდონალდსი უკვე 40 ტონაზე მეტი ქართული წარმოების სალათის ფურცლით გაუმასპინძლდა მომხმარებლებს.
- მაკდონალდსის დახმარებით, ადგილობრივმა მწარმოებლებმა ბაზრის სტანდარტების დაკმაყოფილება შეძლეს. მაკდონალდსის ქსელი კი ადგილობრივი წარმოების მაღალი ხარისხის პროდუქციით მარაგდება.

კერძო ინვესტიციების მობილიზება ეკონომიკური გაჯანსაღების ხელშესაწყობად

- პანდემიის შედეგად ეკონომიკური გამოწვევების წინაშე მდგარი ბიზნესების მხარდასაჭერად, USAID-იმ და „გაზელ ფაინენსმა" შეიმუშავეს ერთობლივი პროგრამა, რომელიც მცირე და საშუალო საწარმოებში ინვესტიციების მოზიდვას შეუწყობს ხელს.
- პროგრამა გულისხმობს ტექნიკურ დახმარებასა და კაპიტალდაბანდებას იმ ბიზნესებში, რომელთაც ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისა და სამუშაო ადგილების შექმნის მაღალი პოტენციალი აქვთ.
- პარტნიორობის ფარგლებში დაგეგმილია მცირე და საშუალო ბიზნესებში 11 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირება, რაც მათ შემოსავლებს 36 მილიონი აშშ დოლარით გაზრდის.

თანამშრომლობა სოციალური მომსახურების გასაუმჯობესებლად

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად, USAID-ის, საქართველოს მთავრობას, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და კერძო საინვესტიციო კომპანიას შორის სრულიად ახალი ტიპის საჯარო--კერძო პარტნიორობას ჩაეყარა საფუძველი.
- ერთობლივი ძალისხმევით ჩამოყალიბდა კენ უოლკერის საუნივერსიტეტო კლინიკა, რომელიც ფიზიკური რეაბილიტაციის მომსახურების ახალ სტანდარტს ამკვიდრებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში.
- ეს კერძო კლინიკა 2020 წელს გაიხსნა და უკვე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 6 000 ადამიანს მოემსახურა.

ერთობლივი ძალისხმევა ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად

- USAID-ის, კერძო სექტორისა და ბიზნეს ასოციაციების თანამშრომლობის შედეგად, შემუშავდა საინვესტიციო ფონდების შესახებ საქართველოს კანონი, რომელიც 2021 წელს ამოქმედდა.
- ეს კანონი საფუძველს უყრის თანამედროვე კაპიტალის ბაზრის ჩამოყალიბებასა და ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორებისთვის უფრო მიმზიდველი გარემოს შექმნას.
- შედეგად, საქართველოს ბიზნესები და ინვესტორები უცხოურ ბაზრებზე ვაჭრობასა და საერთაშორისო კაპიტალის მოპოვებას შეძლებენ.

About USAID in Georgia

ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, წამყვანი სააგენტოა, რომელიც აძლიერებს საქართველოს შესაძლებლობას დამოუკიდებლად დაგეგმოს, დააფინანსოს და განახორციელოს ქვეყნის განვითარებისთვის საჭირო გადაწყვეტილებები. USAID საქართველოში 35-ზე მეტ პროგრამას ახორციელებს. აღნიშნული პროგრამები მიზნად ისახავს საქართველოს მავნე ზეგავლენისადმი მედეგობის გაზრდას, მოქალაქისადმი ანგარიშვალდებული მმართველობის გაძლიერების გზით დემოკრატიული მიღწევების გამტკიცებას და ეკონომიკური ზრდის შედეგად მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნას. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ:

For more information, please visit:

fb.com/USAIDGeorgia

დაგვიკავშირდით:

ბევერლი ჰუვერი
კერძო სექტორის ჩართულობის
კოორდინატორი

ეკონომიკური განვითარების ოფისი
(+995) 591-066-840 or (+995) 322-544-129

tbilisipse@usaid.gov

USAID საქართველო
ქართულ-ამერიკული მეგობრობის გამზირი 29
თბილისი 0131, საქართველო

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE